# სახალხო გაზეთი

№ 1070 სამშაბათი, 17 დეკემბერი 1913 წ. № 1070

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 75 კაპ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 17 დეკემბერს, 1913 წ. დანიშნულია

დიდი წარმოდგენა

მე-18 დღე ჭიდაობისა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ჭიდაობენ 5 წყვილი: ციპსი და კოპიოვი, პრუსიკი და ფონსონადო, ვახტუროვი და ლავრენოვი, ზაგა რუიკო და სოლოვიოვი, შავი მასკა და სედიხი.

880 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წელიწ. მეათე. „ნაკადულზე" წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები", (მრავალი სურათებით), გიორგი ანთელიძისა.

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ხელის-მოწერა შეიძლება:

ტფილისში: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილისა და თ. მთავრიშვილთან, სამტრედიაში—ვლ. ნაცვალიძესთან, ფოთში—თეოფილე კანდელაკთან, ბათომში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან, თელავში—ვანო პაპაშვილთან, ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან, ბაქოში—ვასო ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, გორში—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, სოხუმში—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, ჭიათურაში—ივანე გომელაურთან, განჯაში—გ. ამბოკაძესთან, ერევანში—კ. ოდიშარიასთან, ყარსში—ივ. საათაშვილთან, ალექსანდროპოლში—ს. შატბერაშვილთან, როსტოვში—მ. კლიმიაშვილთან, ხონში—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ჭლექი—და გულისა. შეთანაზრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშინჯვა.

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი გ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. სნ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, ,,606''და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1476

„ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი. ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ატენის სკოლისათვის (გორის მაზრა, ათი ვერსი გორიდან)

საჭიროა მასწავლებელი

ჯამაგირი 30 მანეთი თვეში, ბინა, შეშა და მოსამსახურე. თხოვნა მიიღება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში 23 დეკემბრამდე. 1638

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საქარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი შეკერილი ტანისამოსი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედა ტანი და ხალათები ცალკ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

კიმონო

გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.

გენაცვალე

ი. სარაჯიშვილის და ი. გრიშაშვილის სურათებით. ფასი 25 კაპ.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. წამლობა „606", „914". 1604

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

საზოგადოებისაგე გამოცემული და საკუთარი წიგნები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრ. | 40 კ. | ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, | 5 ,, |
| ასპინძის ომი, | 7 ,, | ვეფხვის ტყაოსანი, | 60 ,, |
| ალი, ლომაურისა, | 10 ,, | ,, ,, ქართველიშვ. გამ. | 11—65 ,, |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, რუბაკ., | 50 ,, | Законы царя Вахтанга. | 3—50 ,, |
| აზიის მხათობი, | 10 ,, | თხზულ. რაფ. ერისთავისა, მე-2, | 40 ,, |
| ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველა, | 15 ,, | ,, ვაჟა-ფშაველასი, | 1—— |
| აჩრდილი, ი. ჭავჭავაძე, | 5 ,, | ,, ეკ. გაბაშვილისა, | 1—20 ,, |
| ბუნების კარი, | 70 ,, | ,, პუშკინისა, | 50 ,, |
| ბუნების ცოდნა, პოლბერი | 25 ,, | თავდადებული ქართველნი, ი. გოგებ. | 7 ,, |
| ბარტეკ ძლევა-მოსილი, | 20 ,, | თავდადებული ქართვ. ეჯიფი, მისივე, | 5 ,, |
| ბურჯი ეროვნებისა. ი. გოგებაშვილი, | 20 ,, | თორნიკე ერისთავი, აკაკისა, | 35 ,, |
| გეომეტრია მე-2-ე. მ. ყიფიანი, | 50 ,, | ივანანამ რა ჰქმნა, იაკობ გოგებ. | 7 ,, |
| გულივერის მოგზაურობა. | 30 ,, | კონა, მისივე, | 40 ,, |
| განდეგილი. ილია ჭავჭავაძე, | 5 ,, | კატალოგი წ.-კ. ს. წიგნთ-საცავისა, | 60 ,, |
| გლახის ნაამბობი, მისივე, | 20 ,, | ,, ,, დამატება, | 40 ,, |
| გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები, მისივე, | 7 ,, | ინდი მინდი ფერად შვინდი, ქორიძის ნოტი, | 30 ,, |
| დედა და შვილი, მისივე, | 3 ,, | ბროლის ყელი, მისივე ნოტები, | 20 ,, |

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. [illegible] ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

გ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოთხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. მ. ქლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1462

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

ასპიზოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოთხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ქ. გორში

ექიმი (დოქტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1603

დოქტორი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა დ შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი გ. მ. ლოლობერიძე

ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 2—3 საათამდე. საბებიო, ქალის და შინაგანი ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი კბილისა პ. მ. მუსულია-კუხალაიშვილი

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს-მდე. 872

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი მ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

## ქართული პრესა

გაზეთ „ერში" თ. ჯაფარიძისა შემდეგს ცოცხალს და იმედიანს წერილს უძღვნის ახალს ქართველს ქალს:

„დიდი რამ არის იმედი კაცის ცხოვრებაში, და როცა მის განხორციელებას ხედავ, უდიდეს სიამოვნებას განიცდი, მით უფრო, როცა ეს ერის ბედს შეეხება. ასეთი სიამოვნება ბევრად განსხვავდება პირადი ბედნიერების დაკმაყოფილებისაგან...—იგი გრძნობაა დიდებული, უწმინდესი, ამაფრთოვანებელი, ისეთი, რომლის გადმოცემაც ენით შეუძლებელია. რადგან ჩვენ ერის ბედი დიდად დამოკიდებულია ქალთა წინსვლაზე, ყოველი შემთხვევა ამ მხრით უზომო სიამოვნებას განიჰებს. ეჭვი არ არის, ქართველი ქალი თანდათან იკვლევს გზას კულტურული ცხოვრებისაკენ. გაჩნდნენ თითო-ოროლა, ვინც წყნარი, გაუბედავი ნაბიჯით სძლევენ დამაბრკოლებელ მიზეზებს და გვაცნობენ თავს ახალი ქალის სახელით; აზრიანი მსჯელობით გვარწმუნებენ, რომ ქართველ ერს აქვს საბუთი იფიქროს:—„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია"...

ასეთ სიამოვნებას გრძნობდა კვირა საღამოს ჰიათურის თეატრში შეგროვილი დიდძალი საზოგადოება, როდესაც მის წინ წარსდგა ქალი და წყნარი, ბეჯითის სიტყვით გაგვიღვიძა იმედი, რწმენა, რომ ქართველ ქალს პირველად არ ვხედავთ საზოგადოების წინაშე:—გვყავს მემუსიკენი, მომღერალნი, მოცეკვავენი, ქველმოქმედნი ქალები, ხოლო სალი თავითა და სულით, აზრიანი სიტყვით მუშაკნი კი ნაკლებად, ამიტომ როცა ასეთი იარაღით

შემკობილი ქალი აუარებელი აუდიტორიის წინაშე ღირსეულად იცავს თავის ინტერესებს, ვიმეორებ, სასიამოვნო სურათია, ლამაზი, დიდებული! თითქოს აფაქიზებს მსმენელთ. ავიწყებს ყოველდღიურ წვრილმან ანგარიშებს და თავისი მთელი არსებით იმ აზრით, იმ შთაბეჭდილებით იმსჭვალება, თუ რა ძალაა მომავალი ქალის არსებაში.

მაშ, ვუსურვოთ გამარჯვება ახალ ქართველ ქალს!

მისი გამარჯვება ქართველი ერის გამარჯვებაა!“

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **დახმარება მოუსავლობისაგან დაზარალებულთ.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ კავკასიის საზოგადოებას გამოუგზავნა დაწვრილებითი მოხსენება ქუთაისის გუბერნიაში მოუსავლობისაგან დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენის შესახებ. ქუთაისის გუბერნიაში განყოფილების სიტყვით წელს იშვიათი მოუსავლობა იყო და საჭიროა დაუყოვნებლივ დახმარების აღმოჩენა დაზარალებულ მცხოვრებთათვის; მთლად მთელს გუბერნიაში შარშანდელზე წელს 9.095,990 ფუთით ნაკლები იყო ხორბლეული, ხოლო თივა—2.288,280 ფუთით, რაიც უდრის 11 მილიონ მანეთზე მეტს. ქუთაისის განყოფილება იმ აზრისაა, რომ მცხოვრებთ დახმარება ეხლავ უნდა მიეცეთ და იმ პირობით, რომ უკან აღარ გამოერთვათ ფული; უკიდურეს შემთხვევაში მცხოვრებთ უსარგებლოდ 15 წლის ვადით უნდა მიეცეთ სესხი. განყოფილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სთხოვს, მოხსენება წარუდგინოს მეფის მოადგილის საბჭოს.

◆ **გადმოსახლებულ რუსთა სოფლებში** ბევრგან მღვდელი არა ჰყავთ. ამის გამო აღიძრა საკითხი: დაარსდეს მღვდელ-დიაკვანთა მოძრავი შტატები, რომელნიც საჭიროების მიხედვით ერთის სოფლიდან მეორეში გადავლენ. ეს შტატების შენახვა ხაზინის ხარჯით არის განზრახული.

◆ **ქალაქის სასალახოების დათვალიერება.** საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების მონაწილეებმა, თანახმად ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკომიწვევისა, სურვილი განაცხადეს ქალაქის სასალახოების დათვალიერებისა. გუშინ დილის 10 საათზე, კრების მონაწილეებმა თავი მოიყარეს ერევნის მოედანზე და იქიდან ავტომობილებით და ტრამვაის ვაგონებით ნავთლუღს გაემგზავრნენ, სადაც დაწვრილებით დაათვალიერეს ძველი და ახალი სასალახო. კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ახლა სასალახოს საყინულე განყოფილებას, რომელიც გულდასმით გასინჯეს.

◆ **ანკეტა სასოფლო მეურნეობის შესახებ.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიურო თადარიგს შეუდგა დაწვრილებით ცნობების შესაკრებად ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობის შესახებ. ამ აზრით ამ დღეებში ბიურომ თავის კორესპონდენტებს დაუგზავნა საგანგებო ბლანკი-რვეულები, რომელიც უნდა შეავსონ საჭირო ცნობებით. კორესპონდენტებმა ბიუროს უნდა მოაწოდონ ცნობები: მინდვრებისა, მევენახეობისა, მეხილეობისა, მებოსტნეობისა, მეფუტკრეობისა, მეაბრეშუმეობისა და მესაქონლეობის შესახებ; აგრეთვე უნდა მოაწოდონ ცნობები იმის შესახებ, რა მდგომარეობაშია მიწების მორწყვის საქმე, რა ფასი ადევს საიჯარო და გასაყიდ მიწას, მეურნეობისა სხვა და სხვა ნაწარმოები როგორ ფასობს, მუშა ხელი რა ღირს, ერთის დესეტინა მიწის მოხვნა და დათესა რა ჯდება და სხვა. ბიურო კორესპონდენტებს სთხოვს, მოაწოდონ მხოლოდ ზედმიწევნითი და ყოველმხრივ შემოწმებული ცნობები.

◆ იანვრის პირველ რიცხვებში ტფილისში მოელიან პეტერბურგის ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორს **კ. ნ. სპერანსკის**, რომელიც მოემგზავრება ლექციების წასაკითხად. ლექციებს წაიკითხავს არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში: 4 იანვარს **„დედაკაცის ბედისწერა“**, ხოლო 10 იანვარს—**„ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები“.**

◆ **ოდესის ქართველ სტუდენტთა საქმე.** 11 დეკემბერს ოდესის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე 15 ქართველ სტუდენტისა, რომელთაც ქართველთა სათვისტომოს წევრობა ჰბრალდებოდათ. სათვისტომოს სახელად ერქვა ოდესის ქართველ სტუდენტთა ეროვნული პარტია. ამ პარტიას 170 წევრი ჰყოლია. ბრალდებულნი დააპატიმრეს გენერალ დუმბაძის გირის—სტუდენტ ზეიერის—ბინაზე. ბრალდებულთ უპოვნეს სათვისტომოს ქაღალდები და მიწერ-მოწერა დორპატის სათვისტომოსთან; აღმოაჩნდათ აგრეთვე ფულის კვიტანციები. დაპატიმრებისას სტუდენტებმა განაცხადეს: პროფ. პეტრიაშვილის ნეშტის გადასვენების თაობაზე მოსალაპარაკებლად შევიკრიბენითო. კრების მონაწილეთ გარდა მე-124 მუხლისა, დამნაშავედ სთვლიდნენ უკანონო კრების გამართვისათვის, რისთვისაც ადმინისტრატიულად მოიხადეს თითო თვის ციხე. ბრალდებულთა დამცველნი ამტკიცებდნენ, დანაშაულობის შემადგენლობა სრულიად არ არისო, უკიდურეს შემთხვევაში ბრალდებულნი ექვემდებარებიან პროფესორთა სამართალს, რადგანაც კრების მიზანი სტუდენტთა დახმარების ფარგალს არა სცილდებოდაო. გარდა ამისა, გამოძიებამ ვერ დაამტკიცა ბრალდებულთა სათვისტომოს წევრობა. სასამართლომ ყველანი გაამართლა.

◆ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა.** როგორც შევიტყეთ, გამომცემლობამ ტფილისში დაარიგა ოთხასი ცალი წიგნი. წიგნის მიმღებთა შორის არის აგრეთვე რამდენიმე პროვინციიდან ჩამოსული ხელის მომწერი. ორას ორმოცდაათი ცალი წიგნი გაიგზავნა პროვინციაში. საუბედუროდ მკაზმავი დროზედ ვერ ასწრობს ყდის დამზადებას. წიგნი მთლად დაბეჭდილი და დამთავრებული დიდი ხანია, გადაეცა მკაზმავს, მაგრამ ყდის გაკეთებას დიდხანს უნდება. გამომცემლობამ მიიღო ზომები, რათა იანვრის განმავლობაში ყველა ხელის მომწერი დაკმაყოფილებულ იქმნას.

◆ სახაზინო პალატის მოხელე **გიგო მესტვირიშვილისაგან** რედაქციამ მიიღო, ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოების გადასაცემად მეფე ირაკლის სიგელი.

◆ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** ანდრიევის ქუჩაზე № 14 სცხოვრობს ყოვლად უმწეო ქვრივი ნინო იორდანის ასული ხელაშვილისა, რომელსაც ოთხი მცირე წლოვანი შვილი ჰყავს, უფროსი 9 წლისა, უმცროსი 5 თვისა. საბრალოს არავითარი სახსარი არ გააჩნია. ყოველგვარი შეწირულება ზემოხსენებულ მისამართით უნდა გაიგზავნოს.

◆ დღეისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და საგადასახადო კომისიის შეერთებული კრება ტფილისის იმ უღარიბეს მცხოვრებთა თხოვნების განსახილველად, რომელნიც დარჩენილ გადასახადის პატიებას თხოულობენ რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის აღსანიშნავად.

◆ **ახალი ბანკი.** როგორც გავიგეთ, მოკლე ხანში ტფილისში დაარსდება ახალი ბანკი, რომელსაც სახელად ერქმევა კავკასიის სავაჭრო ბანკი. წესდების შესამუშავებლად ამ დღეებში ბანკის დამფუძნებელთა საზოგადო კრება იქნება მოწვეული.

◆ **ახალი გაზეთი.** გუშინ გამოვიდა პირველი ნომერი ახალ საორშაბათო გაზეთისა სახელად „ობზორ ზაკავკაზია“. გაზეთის რედაქტორად არის ნაფიცი ვექილი გ. გძელიშვილი.

◆ **სასკოლო ბაღისთვის** შესაფერ ადგილის ასარჩევად დღეს საქალაქო მიწებს დაათვალიერებს ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისია ქალაქის გამგეობის წევრის მ. ნ. ათაბეგოვის მეთაურობით.

◆ **კავკასიის მუზეუმს** აღმაშენებელ კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **პოლიტეხნიკუმისთვის** ტფ. ვაჭართა საზოგადოებას აღთქმული აქვს 25,000 მან. ამ ფულის განაღდებას დანიშნულებისამებრ გადასაცემად უკვე შეუდგა ვაჭართა საზოგადოების მიერ არჩეული საგანგებო კომისია.

◆ დეპეშათა საგენტოს **დარუბანდიდან** ატყობინებენ: 13 დეკემბერს, საღამოს 5 საათსა და 25 წუთზე ძლიერი მიწის ძვრა იყო.

◆ **ძვირფასი შრომა.** გორის ეპისკოპოსს, ყოვლად სამღვდელო ანტონის დაუმთავრებია საისტორიო-საეთნოგრაფიო აღწერა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა, რომელიც შარშან მოიარა და შეისწავლა. შრომა დასურათებულია და იბეჭდება ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საფასით. წიგნი მალე გამოვა გასაყიდად. ფასი ყველასთვის ხელმიწვდენი იქნება.

◆ **საკოოპერაციო კურსები.** ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს საკოოპერაციო სექციამ საჭიროდ სცნო, ტფილისის სამმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ (საიმპერატორო, ქართულმა და სომხურმა) შეერთებულის ძალით საკოოპერაციო კურსები მოაწყოს ამ საზოგადოებათა აგრონომებისა და ინსტრუქტორებისთვის. ამ საკითხს ქართული სამეურნეო საზოგადოების საბჭო თავის ერთ-ერთს უახლოეს კრებაზე განიხილავს.

◆ **არქეოლოგიური ინსტიტუტი კავკასიაში.** სახალხო განათლების მინისტრმა განიხილა სამეცნიერო აკადემიის შუამდგომლობა კავკასიაში არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ და საჭიროდ დაინახა აკადემიის გეგმის გაფართოვება. მინისტრმა წინადადება მისცა აკადემიას დაწვრილებით განიხილოს საკითხი ისეთი დაწესებულების მოწყობის შესახებ, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს კავკასიის სისტემატიურს გამოკვლევას. ხოლო სანამ ეს საქმე მოეწყობოდეს, მინისტრს განუზრახავს ეხლავე სთხოვოს სათათბიროს ყოველ წლიურად ხუთი ათასი მანეთი მიეცეს აკადემიას ნაშთების მოსავლელად.

◆ **წვრილი კრედიტი,** თიანეთის მაზრის ერწოს მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს წვრილ კრედიტის ტფ. საგუბერნიო კომიტეტის წინაშე, რათა იქ დაარსოს საკრედიტო ამხანაგობა. მცხოვრებნი ამხანაგობისთვის თხოულობენ: 2,000 მან. ძირითად თანხად და 5,000 მან.—მოკლე ვადიან სესხად.

◆ **მშობელთა სექცია.** 12 დეკემბერს საზოგადო კლუბთან დაარსებულ მშობელთა სექციის კრება მოხდა. სექციამ დაადგინა, ხშირ-ხშირად მართოს ბავშვების ექსკურსია სხვა და სხვა ადგილას. ამავ კრებაზე აღიძრა საკითხი, გამართოს „ბავშვთა დღე“ ისე, როგორც „თეთრი ყვავილის“ დღესასწაული იმართება. აღებულ ფულით განზრახულია ბავშვთა სასკოლო ახალშენის მოწყობა.

◆ რედაქციამ მიიღო ქ-ნ **ანასტ. ერისთავი-ხოშტარიას მოთხრობების ორი წიგნი.** ერთში მოთავსებულია ორი მოთხრობა „ბედის ტრიალი“ და „ლაზარემ გადააჭარბა“ წიგნი 296 გვერდიანია და სამ აბაზად ღირს. მეორე—მოთხრობა „კამისია“, შეიცავს 48 გვერდს და ღირს სამ შაურად.

◆ **წირვა.** კვირას 15 დეკემბერს ყოვლად სამღვდელო ანტონმა პირველად სწირა ძველ სემინარიის ახლად ნაკურთხ ეკლესიაში.

◆ **ახალი სასულიერო ჟურნალი.** საქართველოს ეგზარხოსის ყოვლად უსამღვდელო ალექსის ნებით განახლებულ იქნება გამოცემა „საქართველოს სასულიერო მოამბისა“, რომელშიაც თვით ეგზარხოსი ითანამშრომლებს. საერთოდ პროგრამა ამ ჟურნალისა გაფართოვებული იქნება. ჟურნალი ორ ენაზე გამოიცემა: რუსულსა და ქართულზე. რუსულ განყოფილების ენის რედაქტორად იქნება პროკურორი ქართლ-კახეთის სისინოდო კანტორისა ჩეპოვი ხოლო ქართულისა—წევრი ამავე სასინოდო კანტორისა არქიმანდრიტი პიროსი.

### საზოგადოებანი და კრებანი

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საკოოპერაციო სექციის კრება 14 დეკემბერს მოხდა. სექციამ განიხილა კ. კანდელაკის მიერ შედგენილი წიგნი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ანგარიშისა და საქმის წარმოების დროს წვრილ კრედიტის დაწესებულებებში. სექციამ სახელმძღვანელო მოიწონა და საჭიროდ სცნო მისი წიგნად დაბეჭდვა. ამავ კრებაზე სექციამ რ. გაბაშვილისა და ე. ავალიშვილის წინადადება იმის შესახებ, რომ ვერაზე, დაარსდეს მომხმარებელი საზოგადოება. სექციამ აირჩია საგანგებო კომისია და დაავალა, შეადგინოს. საზოგადოების წესდება. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: რ. გაბაშვილი, ე. ავალიშვილი, დ. ვაჩნაძე და ა. კახელაძე.

◆ **„ტფ. კრუჟოკის“** წევრთა წლიური საზოგადო კრება 15 დეკემბერს მოხდა, საიდანაც სჩანს, რომ „კრუჟოკ“-ს შემოსავალი ჰქონია 77,302 მან., ხოლო ხარჯი—73,541 მ., კრებამ ანგარიში განსახილველად სარევიზიო კომისიას გადასცა. ამის შემდეგ კრებამ დაამტკიცა 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლითაც შემოსავალი ნავარაუდევია 76,360 მ., ხოლო ხარჯი—72,130 მ. დასასრულ მამასახლისთა არჩევნები მოხდა. არჩეულ იქმნენ: ნ. ნ. გავაროვი, ა. ი. ჩახოვსკი, ა. ა. კალინოვსკი, ს. ს. ესაძე, კ. ა. მიქელაძე, ი. ე. გამყრელიძე, ვ. ვ. ჩაპლინი, ნ. ი. ზამკოვსკი და ა. ს. ბაბოვი.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 18 დეკემბრისათვის არის დანიშნული. კრება განიხილავს ქართლის რაიონის აგრონომის მიერ წარდგენილ პროექტსა და ხარჯთ-აღრიცხვას იმ სამუშაოსას. რომელიც 1914 წელს ქართლში უნდა განხორციელდეს.

### სომეხთა ცხოვრება

◆ **სომხური ენა სამინისტროს სკოლებში.** განჯის გუბ. ყაზახის მაზრაში სახალხო სკოლების ინსპექტორად ახლად დანიშნულმა ნეკლიუპაევმა დიდი ყურადღება მიაქცია ადგილობრივი ენების სწავლებას სოფლის სამინისტრო სკოლებში. ამ მიზნისათვის ყველა სკოლისათვის გამოიწერა სომხური ენის სახელმძღვანელოები.

◆ **სომხური პიესები იტალიურ ენაზე.** ტფილისის სომხური დასის არტისტმა ვ. პაპაზიანმა წერილი მიიღო მილანის სამწერლო აკადემიის დირექტორისაგან, რომელშიაც სთხოვს დაგვისახელე პიესები სომეხთა ცხოვრებიდან, რომელთა გადათარგმნა შეიძლებოდეს იტალიურ ენაზედო. პაპაზიანს დაუსახელებია შირვანზადეს „პატოსნება“ და „ბნედიანი“ და უკვე შესდგომია ამ პიესების თარგმნას იტალიურ ენაზე.

◆ **სომხური ჟურნალი.** მოსკოვში მოკლე დროში გამოვა სომხურად ახალი ყოველ-თვიური ჟურნალი.

**ფონდი** ნახიჩევანის სომხის ინტელიგენცია განუზრახავს ფონდი დაარსოს განსვენებული საზოგადო მოღვაწის ზარიფიანის სახელის სახსოვრად. ამ საქმისთვის უკვე შეუგროვებიათ ათას მანეთამდე.

◆ **სტუდენტების კავშირი.** მოსკოვში დაარსდა ყველა უმაღლესი სასწავლებლის სომეხ სტუდენტთა კავშირი; კავშირის მიზანია საურთიერთო დახმარების უკეთესად მოწყობა.

◆ **მონასტრების რესტავრაცია** (აღდგენა). ტფილისის ეპარქიის უფროსი ეპისკოპ. მესროპი კარგა ხანია მხნედ შეუდგა ძველი სომხური მონასტრების განახლებას, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ასეთი მონასტრებია: სანაინის, ახპატის, გომომხიტარის, ავარცინის და სხ. ამ საქმის შესასრულებლად ეპისკოპოსს შეუდგენია ხუროთ-მოძღვართა და მხატვართა კომისია.

◆ **საიუბილეო კრებული.** ამ დღეებში ასტრახანში გამოვიდა სომხურ ენაზე სალიტერატურო კრებული სახელად „სომხური ანბანის და ბეჭდვის დიდი იუბილე“. წიგნში მოთავსებული ისტორიული წერილები, ლექსები და მოკლე მიმოხილვა ყველა სომხურ კულტურული დაწესებულებისა. წიგნი დასურათებულია.

### მაჰმადიანთა ცხოვრება

◆ **გაზეთი.** ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორს ატაი ეფენდის განუზრახავს გამოსცეს მოსკოვში თათრული გაზეთი „აჰი“, რომელიც გამოვა კვირაში სამჯერ.

◆ **გამომცემელი საზოგადოება.** ბაქოში არსდება გამომცემელი ამხანაგობა იაფ-ფასიანი სახალხო და საბავშვო წიგნების გამოსაცემად. ამ საქმის მეთაურთ ტფილისიდან დაუბარებიათ ქართველთა გამომცემელი ამხანაგობის წესდება.

◆ **ჟურნალი** ტფილისის მაჰმადიან ინტელიგენტთა ჯგუფს განუზრახავს ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემა თათრულ ენაზე.

## ქუთაისი.

◆ მესამე დღეა ქუთაისში განუწყვეტლივ **სწვიმს.**

## გორი.

◆ თერთმეტ დეკემბერს სამ ჩარექამდე **თოვლი** მოვიდა. სახლის პატრონებმა ურმებით გამოზიდეს თოვლი ქუჩებში. ქალაქს რომ პატრონი ჰყოლოდა, უეჭველად უნდა აეძულებინათ სახლის პატრონები, რახან ეზოდან ზიდავდნენ თოვლს, ქალაქ გარედ გაეტანინებინათ, მაგრამ.... ამაზე არავის უფიქრია, არ უფიქრიათ, რომ ამოდენა თოვლი დადნებოდა და ქუჩებს ზღვად გადააქცევდა. აკი ასეც მოხდა. მეორე-მესამე დღეს ქუჩები მორევებს წარმოადგენენ. ბევრგან ნახევარ არშინზე დგას წყალი. ქუჩაში გავლის დროს ისმის წყევლა-კრულვა ქალაქის „მამებისადმი“... შეწუხებულნი არიან მეტადრე მოსწავლენი.. საჭიროა შემდეგ მაინც მიაქციონ ამას ყურადღება ქალაქის „ჭირისუფლებმა“ და ნება არ მისცენ სახლის პატრონებს ქუჩაში გამოზიდონ თოვლი...

◆ 21 დეკემბერს ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს დარბაზში ადგილ. წ. კ. საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად გაიმართება წარმოდგენა სალიტერ. საკონ. განყოფილებით. მზადებას უკვე შეუდგნენ. მოვუწოდებთ ქართველ საზოგადოებას დახმარების ხელი გაუწვდინოს წ. კ. საზოგ. გამგეობას და მით შეძლება მისცეს მას პირნათლად შეასრულოს თვისი მოვალეობა.

◆ კვირას, 15 დეკემბერს, ადგ. სახალხო უნივერსიტეტი ლექციასა ჰმართავს. წაიკითხავს ქართულად დ. ონიაშვილი: დ. ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“. იმედია საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ საინტერესო ლექციას.

◆ როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ—გლეხები ძალიან იყვნენ შეფიქრიანებული უთოვლობით. ეშინოდათ ყინვებს დაიჭერს და ნათესზე ხელს აგვაღებინებსო. ეხლა გვატყობინებენ, რომ თითქმის ყველგან **თოვლი** არშინზე მეტი მოსულა. გლეხები ძალიან იმედიანობენ—თოვლი დედის რძესავით შეერგება ხნულსაო.

◆ სამზრუნველო კომიტეტის თაოსნობით 19 დეკემბერს პროექტორში სურათებს უჩვენებენ ადგილობრივ ციხის პატიმართა სასარგებლოდ. ამავე მიზნით აჩვენეს სურათები ათ დეკემბერს.

## სიღნაღი

◆ 10 დეკემბერს **თოვლი** მოვიდა.

◆ „ხმა კახეთის“ რედაქციისათვის ქუთაისის გუბერნიის **დამშეულთა სასარგებლოდ** ექ. დ. ჯავახიშვილს გადაუცია 5 მანეთი.

## სოფლად.

◆ **საქობო.** 4 დეკემბერს ქიურის ტყეში სამორე ხის მოჭრის დროს საქობოელ გოგი კაკაშვილს მოჭრილი ხე დაეცა და იქვე მოჰკლა.

◆ **მოლითი** (შორაპნის მაზრა). 10 დეკემბრიდან დიდი თოვლი დასდო. მოლითისაკენ მომავალი მგზავრები თოვლის ზვავს ქვეშ მოეტანა. ათნი როგორაც იყო ამოსულიყვნენ, ერთი კი ს. ხუნევის მცხოვრები იოსებ გიორგის ძე ლომიძე ვეღარსად ეპოვნათ. სოფელში მამასახლის აცნობეს ეს ამბავი. მამასახლისმა ხალხი წაიყვანა. დაკარგული იპოვნეს. იგი დიდის წვალებით დაჰხწეოდა თოვლის ზვავს, რომლის ქვეშაც 36 საათს ყოფილიყო და ბოლოს ტყის მუშათა ქოხს შეჰფარებოდა. ლომიძე ჯანსაღად არის.

**შეცდომის გასწორება.**

კვირის ნომერში დაბეჭდილ ბ-ნ არ. ჯ—შვილის წერილში შეცდომით დაბეჭდილია: „ეხლაც შორეულმა, როგორც ტიპიურმა დასელმა, პრინციპიალურ სიმაღლემდე ვერ ავიდა“, უნდა იყოს: „ეხლაც შორეული, როგორც ტიპიური დასელი“ და სხვა.

# ჭრელი შენიშვნები

2.

თურმე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყველაზე უმოქმედო დაწესებულება ყოფილა! ასეთი ახალი ამბავი გვაუწყა „ფიქრის“ მორიგე ნომერმა. გაუკვირდება მკითხველს, როდესაც გაიგებს, რომ „ფიქრი“ უმოქმედობას უკიჟინებს გამგეობას და ამასთანავე ერთად ლანძღავს კიდეც გამგეობას, თუ მან მოქმედების სურვილი გამოიჩინა. საზოგადოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რაღაც უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილი. ჩემის აზრით, მისი უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის მოქმედებას სიცოცხლის ნიშან-წყალი ემჩნევა; იგი მკვდარი რომ ყოფილიყო, სწორედ ბედნიერებას ეღირსებოდა. მაშინ იქნება „ფიქრი“-ს „განათლებული“ პუბლიცისტების ყურადღება არ დაემსახურებინა. რა მაქნისია ყურადღება ისეთი ადამიანებისა, რომელნიც წერა-კითხვის საზოგადოებაში მიდიან და საქმის ნაცვლად მხოლოდ უფლებებზე ლაპარაკობენ. თითქოს, წერა-კითხვის საზოგადოება საკანონმდებლო დაწესებულება იყოს, რომლის შემწეობითაც მცხოვრებმა. თავისი მოქალაქობრივი უფლება უნდა განამარტიოს. ჩემის აზრით, თვითეულ ქართველს ამ საზოგადოებისადმი მხოლოდ ვალდებულება აქვს. ყველა, ვისაც კი შეუძლიან, ვალდებულია იმუშაოს. იგი ვალდებულია თავისი შრომა, მატერიალური წვლილი,—ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ადამიანის ძალ-ღონეს არ აღემატება, მოწიწებით მიიტანოს და სახალხო განათლების სამსხვერპლოზე დასდოს.

უმთავრესი ეს არის. ჩვენ კი ყურამალა გვესმის ყველაფერი. არიან ისეთი ვაჟბატონები, რომლებიც წერა-კითხვის საზოგადოების კრებებზე სამ წელიწადში ერთხელ გამოჩნდებიან ხოლმე: გამგეობის არჩევის დროს. ამისთანა ხალხის გაკეთებული საქმე მეწყერსაც წაუღია. აკი კარგს ვერაფერსაცა ჰხედავს იმათგან საზოგადოება! აი ეხლაც, „ფიქრში“ ვინმე უცნობი ავტორი „ბღვირს“ ადენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. იქ, თურმე, ისეთს ხალხს მოუყრია თავი, რომელთაც ხალხისა ეშინიანთ. მაგონდება ერთი შემთხვევა. რომელიღაც კრებაზე ბ-ნმა ექ. თაყაიშვილმა მოითხოვა, კარგი იქნება წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცესო; განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა ცოტა მკვახედ უპასუხა ბ-ნ ექ. თაყაიშვილს და, სხვათა შორის, დაახლოვებით ისეც უთხრა: „თაყაიშვილს უნდა სულ არქეოლოგიას გადაჰყვეს, ხალხი კი აღარ ეინტერესებაო. ამაზე ბ-ნმა ექ. თაყაიშვილმა უპასუხა: „თქვე დალოცვილო, არქეოლოგია იმიტომ მინდა, რომ ხალხია, თუ ხალხი არ იქნება, არქეოლოგია ვიღა ეშმაკებისთვის მინდაო“. სწორედ ეს შემთხვევა მომაგონდა, როდესაც „ფიქრი“-ს უკანასკნელი წერილი წავიკითხე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრებს ხალხისა ეშინიანთო, ბრძანებს „ფიქრი“. სწორედ რომ საცოდავი ხალხია გამგეობის წევრნი! რამდენიც მათ ძალ-ღონეს შეუძლია, უსასყიდლოდ მუშაობენ საზოგადოებაში მხოლოდ იმ გრძნობით გატაცებულნი, რომ ამით ხალხს ემსახურებიან და პასუხად ერთი ღა ესმით: თქვენ ხალხის მტრები ხართო. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში არც ყოფილა, არც არის და მე დარწმუნებული ვარ, არც შემდეგში იქნება ისეთი წევრი, რომელსაც ხალხისა ეშინოდეს. ეს „ხალხი“ იმათ ქარხნებს ვერ ჩამოართმევს და ლატიფუნდიებს ვერ წაართმევს. მე კი, ჩემდა თავად, მართლაც რომ მეშინიან; მხოლოდ მეშინიან არა ხალხის, არამედ ისეთი ვაჟბატონებისა, რანაირიც, თუნდა, ზემოხსენებული წერილის ავტორია. ამისთანა პირები თავიანთი ღვარძლიანობით, დემაგოგობით ვნების მეტს არაფერს მოუტანენ არამც თუ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ყველას, სადაც ისინი გაჩნდებიან. ჩვენდა საბედნიეროდ თვით დასელები, რომლებიც ჰყავს მხედველობაში წერილის ავტორს, ასეთი ადამიანები იშვიათად არიან. პატიოსან მუშაკს, რა გინდ დასელიც არ უნდა იყოს, საზოგადოებიდან არასოდეს არ განდევნიან.

⁂

რახან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი მორიგი მარგალიტი იმავ ავტორისა. იგი სწერს:

> „სექციების დაარსების პროექტი მიღებულ იქმნა. მაგრამ მათ სხვაფერ მოუარეს საქმეს და სექციების მომავალი მოქმედების შეზღუდვა მოინდომეს. (ნამდვილი ჯალათები არიან! გ. ნ.) აი, საქმე რაშია. კომისიისა და გამგეობის მიერ შემუშავებული და საზოგადო კრების მიერ მოწონებულ ინსტრუქციის ძალით, სექციები მოქმედებენ წინდაწინვე შემუშავებული პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად, ავტონომიურად. მართალია, ამ სექციებს საზოგადოების ბედის გამგეებმა იმ თავითვე დაუყენეს ყარაულებად. თითო წევრი გამგეობისა, რომელიც აუცილებლად სექციაში თავმჯდომარეც უნდა იყოს, მაგრამ ისინი ამითაც არ დაკმაყოფილდნენ, მათ საკმაოდ ვერ დაინახეს თითო სექციაში თითო წევრის ყოლა და ზედ მეორე წევრიც მიუმატეს. ერთი ხმა გაიორეს, ერთი „ვეტოს“ მაგიერად ორი მიითვისეს“.

ლაპარაკი არ უნდა, დიდი საშინელება მომხდარა! ხომ წარმოგიდგენია, მკითხველო, სამგრად დამზადებულ მოპირდაპირეთა ბანაკი?

თვითოეული მათგანი „პოზიციას“ იმაგრებს, ადგენს სარეზერვო ჯარს? ერთი ნიშანი და უნდა—და მოსისხლე მტრები ბუკითა და ნაღარით დაეტაკებიან ერთმანეთს.—სწორედ ისეთი სამტროდ განმზადებული მოპირდაპირენი ყოფილან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა და მისი სექციები, მოწვეულნი საქმის გასაცხოველებლად. ისე გამოდის, თითქოს სექციები გამგეობასთან საბრძოლველად დაარსდა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო კარგად გააკეთოს ის საქმე, რომელსაც მარტო გამგეობა ვერ უძლვება!

. ჩვენ ვკითხეთ, როგორ იყო საქმე და ჰი რა გამოირკვა. გამგეობამ ამოირჩია სექციების თავმჯდომარეები. ამის შემდეგ გამოირკვა, რომ გამგეობაში კიდევ არიან ისეთი პირები, რომელთაც შეუძლიათ და სურვილიცა აქვთ სექციებში მუშაობისა. იმუშავეთ, მიბრძანდითო! საზოგადოება მადლობის მეტს რას გეტყვითო. მაგრამ,—ჰოი საკვირველებავ?—სექციათა კრებაზე პროტესტი განაცხადეს ზოგიერთებმა, თუმცა გამგეობამ თავისი წევრი მხოლოდ იმიტომ დანიშნა, რომ ხელი შეეწყო თვით სექციის ნაყოფიერი მუშაობისთვის და არა რაღაც „ვეტო“-სთვის. ერთი ამ პროტესტანტთაგანი, თურმე, ბ-ნი პ. გელეიშვილიცა ყოფილა. გამგეობის წევრის მხრით სექციაში მუშაობის სურვილის განცხადება დანაშაულობაა! წადი ეხლა და ელაპარაკე ამისთანა ხალხს!

თუმცა გამგეობის მეორე წევრი თავისთვის არც ხმის უფლებას თხოულობდა, არც რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას, მაგრამ მაინც გამოჩნდა ადამიანი, რომელმაცა სთქვა, გამგეობის წევრს უფლება არა აქვს სურვილი ჰქონდეს მუშაობისა, ჩვენ არ მივიღებთ, არ გვინდაო.

ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, რასაც მეტყვიან. ჩვენ არ გვინდა, გამგეობისაგან დანიშნული კაცი გვყავდეს წევრად, თორემ ისე შეიძლება მთელი გამგეობაც მოვიწვიოთ დასახმარებლადაო. ვსთქვათ, ესეც სრული ჭეშმარიტებაა! ვსთქვათ, ფორმალურის მოსაზრებით მოსაწონი არ არის ასეთი გადამეტებული ერთგულება გამგეობისა! განა ყველა ეს ნებას გაძლევთ საშინელი ბრალდება მოახვიოთ გამგეობას და უთხრათ, ამას იმიტომ სჩადიხართ, სექციებისა და ხალხის მტრები ხართო?

საკვირველი არიან საქმენი შენნი, უფალო!

ვ. ნ—ძე

## საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება

კვირას, 15 დეკემბერს, სახალხო სახლში საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება დაიწყო. კრება, მეფის მოადგილის გრაფის ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის დავალებით, მეფის მოადგილის სამოქალაქო თანაშემწემ უმაღლესის კარის გოფმეისტერმა ნ. ლ. პეტერსონმა გახსნა, რომელმაც დამსწრეთ მიულოცა კრებას მეფის მოადგილისა და თავის სახელით.

ამის შემდეგ კრების საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ თ-დმა კ. ნ. აბხაზმა აუწყა დამსწრეთ ამ კრების მოწვევის იდეია, აღნიშნა ასეთ კრებების მნიშვნელობა და უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა.

კრებამ საორგანიზაციო ბიუროს წინადადებით პრეზიდიუმში შემდეგი პირნი აირჩია: თავმჯდომარედ—სახელმწიფო საბჭოს წევრი ვ. ი. დენისოვი, ხოლო მის ამხანაგებად: საყინულეთა საქმის მოსკოვის კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი და ი. გოლოვინი, საყინულეთა საქმის როსტოვის კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ლ. მ. ლიალინი, ინჟინერი მ. ნ. გროტენი (გზათა სამინისტროს წარმომადგენელი), საყინულეთა საქმის თურქესტანის კომიტეტის წარმომადგენელი ა. ა. დილევსკი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე თ-დი პ. ა. გრუზინსკი, სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგე დ. ვ. ბეზობრაზოვი, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილე თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ვ. ე. დუბროვინი და თ-დი კ. ნ. აბხაზი, მდივნებად კრებამ აირჩია: მ. ტ. ზაროჩენცოვი, ვ. ი. შიმანოვსკი, მ. ა. ვასილიევი, მ. პ. ალაჯანოვი, მ. ი. პონომაროვი, მ. ა. ვერმიშევი, ი. ა. ტუპიკოვი და ვ. ს. ალაჯანოვი.

კრების თავმჯდომარემ ვ. ი. დენისოვმა კრებას მადლობა გადაუხადა თავმჯდომარედ არჩევისათვის და აღნიშნა, რომ რუსეთი დღეს დიდის ყურადღებით ექცევა ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, როგორიც არის საყინულეთა მოწყობა.

ამის შემდეგ კრების საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, რომელსაც შესაფერი დეპეშა გაეგზავნა. კრებავე დაადგინა, სთხოვოს მეფის მოადგილეს, რათა ხელმწიფე იმპერატორს გადასცეს კრების უქვეშევრდომილესი გრძნობები.

შემდეგ კრებამ დაადგინა, დეპეშები გაუგზავნოს: სენატორს ი. ა. ვატაცის, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის ამ კრების მოწვევაში, მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამმართველოს მთავარ რწმუნებულს ა. ვ. კრივოშეინს, გზათა მინისტრს ს. ვ. რუხლოვს, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს და სხვებს.

ამის შემდეგ წაიკითხეს სხვა-და-სხვა მხრიდან გამოგზავნილი მისალოცი დეპეშები, მათ შორის: სენატორ ვატაცისაგან, პროფესორების დედიულინისა, ნოვგოროდსკისა და კაზანცევისაგან, შანიავსკის უნივერსიტეტისაგან (მოსკოვიდან), ტფ. ქალაქის მოურავ ა. ი. ხატისოვისაგან და სხვა.

ამის შემდეგ მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა კ. ნ. აბხაზმა თავად-აზნაურთა სახელით, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ თ-დმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, კავკასის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ თ-დმა პ. ა. გრუზინსკიმ, ხარკოვის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელმა, სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგემ დ. ვ. ბეზობრაზოვმა, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ თ-დმა დ. ე. ჩოლოყაშვილმა, და 15-დე სხვა და სხვა საზოგადოებისა და დაწესებულების წარმომადგენლებმა.

დილის კრება ამით გათავდა.

საღამოს კრება რეალურ სასწავლებლის შენობაში მოხდა. კრება შეუდგა მოხსენებათა განხილვას.

## მუშათა ცხოვრება

### ბათომი.

**ბათომის სტამბებში მომუშავენი** 16 დეკემბრიდან გაიფიცნენ და შემდეგი მოთხოვნილებანი წარადგინეს:

1) 8 საათის სამუშაო დღის შერჩენა, როგორც იყო ეს წინად; 2) დაგვიბრუნდეს ის უქმე დღეებში დასვენება, როგორც იყო მოპოებული 1905-დან 1908-დ-ს, 3) ხელფასის მომატება: ვისაც 10 მანეთი აქვს თვეში, მიეცეს 40% 10-დან 20-დე—30%, 20-დან 30-დე 25%, 30-დან 40-დე 20%, 40-დან 50-დე 15% და 50 და მეტი კი 10 პროცენტი.

4) ზედმეტი მუშაობას სრულიად მოსპობა.

5) ხაზეინებისა და უფროსებისაგან ზრდილობიანი მოპყრობა.

6) წელიწადში თვიური დასვენება ყველასათვის ხელფასის შენახვით.

7) მოისპოს მოწაფეთათვის ოჯახში სამსახური.

8) ხელფასის დარიგება მოხდეს 15-ში და 30-ში ყოველ თვეში და თუ ეს უქმე დღეებია, მაშინ წინა დღით.

9) დაკანონება ხაზეინიდან რწმუნებულისა.

10) მანქანებისა და „ვალიკების“ გარეცხვა უნდა მოხდეს სამუშაო დროს.

11) სტამბებში უნდა დადგან ფეჩი და სითბო იყოს არა ნაკლები 14 გრ.

12) სტამბაში უნდა იყოს მუდამ საპონი და ხელსახოცი ორი წყვილი, რომელიც კვირაში ორჯელ უნდა ირეცხებოდეს.

13) სტამბაში უნდა იყოს გაკეთებული ვენტილიაცია და აგრეთვე იატაკი უნდა ირეცხებოდეს ყოველ კვირაში.

14) საექიმო დახმარება ხაზეინის ხარჯით, ერთი თვის ხელფასის შენახვით და ავათმყოფობის შემდეგ ისევ ადგილზე მიღებით.

15) შეგირდებს დაენიშნოს პირველ თვიდანვე სამი მანეთი თვეში.

16) ექვსი თვის გახმავლობაში ხაზეინების მხრივ არავინ უნდა იქნას დათხოვნილი.

17) დღიურ მომუშავეებს ქირა მიეცეს არა ნაკლები 1 მან. 50 კ.

18) გაფიცვისთვის არავინ უნდა იქნას დასჯილი.

19) გაფიცვის დროს მუშებს უნდა მიეცეს სრული ხელფასი (მერ.)

## შავი-ქვის მრეწველთა კრება

8 დეკემბერს

განსახილველია მდინარე ყვირილის გაბინძურების საკითხი შავი-ქვის რეცხვისაგან.

**გ. ფ. ზდანოვიჩმა** ამ საგნის შესახებ წარუდგინა კრებას ვრცელი მოხსენება. კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით მარგანეცის მრეცხავ ქარხნებს წარსულ ზაფხულში აღეკრძალათ წყლის ჩაშვება მდინარე ყვირილაში. ამის გამო შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ჯერ მეფის მოადგილისათვის მიუმართავს და როცა მას არ შეუწყნარებია საბჭოს შუამდგომლობა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრისათვის, ამ უკანასკნელს მეფის მოადგილესთან შეთანხმებით დროებით შეუჩერებია კავკასიის ცენტრალური მთავრობის განკარგულება.

ამის შემდეგ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს პირველ ხანებში განუზრახავს იმ სოფლებში წყლის გაყვანა, რომლებიც მდინარე ყვირილის ნაპირად არიან გაშენებული, მაგრამ როცა სოფლელებს, შეჰკითხებ ან წყალ-სადენის გაყვანის შესახებ, მათ უარი უთქვამთ წყლის გაყვანაზე.

კავკასიის ცენტრალურ მთავრობას ამის შემდეგ დაუარსებია საგლეხო საკრებულოს წევრის ბ-ნი ბიბიკოვის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა საკითხი მდინარე ყვირილის გასუფთავებისა შლამებისაგან.

ამ კომისიაში მონაწილეობა მიუღიათ სხვათა შორის ბ-ნ ტიტიანსიანცს როგორც ადგილობრივი მცხოვრებლების წარმომადგენლს.

ბ-ნი ზდანოვიჩის მოხსენების შემდეგ ბ-ნ **სვ. წერეთელმა** განაცხადა, რომ ზოგიერთი წევრი ხსენებული კომისიისა პირადათ იყვნენ დაინტერესებულნი და აგიტაციას ეწეოდნენ წყლის გაყვანის მოწყობის წინააღმდეგ.

**კიტა აბაშიძე.** როგორც აქ განაცხადეს, კომისიაში მიუღიათ მონაწილეობა ისეთ პირთ, რომელნიც ასე თუ ისე დაინტერესებული ყოფილან. ამიტომ ჩვენ შუამდგომლობა უნდა აღვძრათ, რომ ხელახლად იყოს დანიშნული კომისია პირუთვნელ პირთაგან და ხელმეორედ გაირჩეს საკითხი მდინარე ყვირილის გაწმენდისა შლამებისაგან.

კრება ეთანხმება ამ წინადადებას და ამას გარდა კრებამ მიანდო საბჭოს იშუამდგომლოს ხელ-ახლად კომისიის დანიშვნა.

**გ. ფ. ზდანოვიჩი.** მდინარე ყვირილის გაწმენდის შესახებ ჩვენ მივიღეთ ინჟინერ ჩერნევსკის მოხსენება იმ ჩერნევსკისა, რომელმაც ინიციატორობა იტვირთა შავი ქვის მადნის რეცხვაში და მაშასადამე მდინარის გაუწმინდურებაშიაც. თუ გნებავთ, მოისმინეთ ბ-ნი ჩერნევსკის მოხსენება, რომელიც საბჭომ უკვე განიხილა.

**კიტა აბაშიძე** კითხულობს მოხსენებას.

შემდეგი კრების მიერ განსახილველი კითხვა ქიმიური ლაბორატორიის დაარსებაა. ბ-ნ გიორგი ზდანოვიჩის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ეს კითხვა პროგრამაში შეტანილია მრეწველთა განცხადებით და ამიტომ საბჭოს ამ საგანზე საგანგებო მოხსენება არა აქვს, მაგრამ განმარტა ბ-მა ზდანოვიჩმა, ჩვენ სამთო სატეხნიკო განყოფილებასთან უკვე არსებობს ქიმიური ლაბორატორია, რომელიც მცირე ხანში სავსებით მოეწყობა. ამიტომ ბ-ნი ზდანოვიჩი აზრით შესაძლებელია მადნის ქიმიური ანალიზის გაკეთება ამ ლაბორატორიაში იმ პირობით, რომ საგანგებო კაცი ვიყოლიოთ საამისოდაო.

მრეწველნი **ჭანიშვილი და ა. გამრეკელი** აღნიშნავენ, რომ ლაბორატორიის არსებობა ფრიად საჭირო, რადგანაც მრეწველმა ყოველთვის უნდა იცოდეს რა ღირსების მადანს გზავნიან საზღვარ-გარედ: ასეთი ანალიზები გაგვანთავისუფლებენ იმ ზარალიდან, რომელიც ხშირად ხდება, როცა აქედან გაგზავნილ მდარე მადანს ღებულობენ საზღვარ-გარედ.

**სოლ. ექ. წერეთელი.** ისეთს ლაბორატორიას ჩვენ ვერ მოვაწყობთ, რომ ჩვენს ანალიზებს დაუჯერონ საზღვარ-გარედ, ამიტომ საგანგებო ლაბორატორიის დაარსება ნაადრევია.

საკითხის განხილვა გადაიდო იმ დრომდე ვიდრე საფინანსო კომისია მოხსენებას წარმოადგენდეს.

ელ. ხ. ქ.

## წ. კ. გ. საზ. განჯის განყოფილება

რკინის გზის თეატრში, წ. კ. გ. ს. ადგილობრივი განყოფილების წევრთა კრება მოხდა. კრებას დაესწრო საშოცამდე კაცი და 15 მანდილოსანი.

ექიმ ბ. თოფურიძემ 5 საათზე გახსნა კრება და საზოგადოებას მოახსენა დღიური წესრიგი: 1) რა გახსნას ადგილობრივი წ. კ. გ. ს. განყოფილებამ სამკითხველო თუ სკოლა 2) ახალი წევრების მიღება 3) ადგილობრივი წ. კ. გ. ს. განყოფილების შესანახი წყაროსი გამონახვა. პირველმა საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია; ბოლოს დაადგინეს: დაარსდეს ერთი კლასიანი სკოლა.

კრებამ აირჩია რამოდენიმე პირი, რომლებსაც ევალება: ახალი წევრების შემატება; რკინის გზის თეატრში ქართული წარმოდგენების გამართვა; ქართული საღამოების მოწყობა და სხვა და სხვა საშვალეების გამონახვა.

განჯელი.

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

**პეტერბურგი** (დეპეშა). შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი ჰაერისა, წყლის და ნიადაგის სასანიტარო დაცვის თაობაზე.

**ხმები სათათბიროს თავმჯდომარის გადადგომაზე.**

ბიუროკრატთა წრეებში ხმა გავრცელდა, სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო თანამდებობიდან გადადგომას აპირებსო. იგი, თურმე, ადგენს მოხსენებას სათათბიროს მუშაობის თაობაზე, საცა აღნიშნავს პრეზიდიუმისთვის აუტანელ პირობებს სათათბიროში, იმასაც ამბობენ, რომ ოქტომბრისტთა ფრაქციას ამ საკითხის თაობაზე მსჯელობა ჰქონია და კანდიდატიც დაუსახელებია როძიანკოს ნაცვლად,—თავ. ვოლკონსკი. თუმცა თვით როძიანკო გადაჭრით უარჰყოფს ამ ცნობას, მაგრამ ოქტომბრისტთა გავლენიანი წევრები ადასტურებენ, რომ თავმჯდომარის გადადგომა ოქტომბრისტთა ფრაქციის განხეთქილების შემდეგ მოსალოდნელიაო.

**როძიანკოს მოხსენება.**

სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო საშობაოდ თავის მამულში წავიდა. იქიდან 12 დეკემბერს დაბრუნდებოდა და შეუდგებოდა უქვეშევრდომილეს მოხსენების შედგენას სათათბიროს პირველ სესიის პირველ ნახევრის მუშაობის თაობაზე.

როძიანკო მეფეს ცარსკოე სელოში წარუდგება.

## რუსეთი

**პატერ პრანაიტისი.**

ბეილის საქმის გარჩევის დროს პატერ პრანაიტისმა თავი ისახელა მთავრობის თვალში. გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰპირდა პრანაიტისს კოვნოში ეპისკოპოსად დაენიშნა. როგორც ხმა გავრცელდა, პრანაიტისის დანიშვნის წინააღმდეგ გაილაშქრა რუსეთის კათოლიკეთა ეკლესიების მიტროპოლიტმა. მან ამ საქმის გამო სამინისტროში საგანგებო მოხსენება გაგზავნა, საცა ამტკიცებდა, რომ ეპისკოპოსად დანიშვნა, შეიძლება იმ პირებისა, რომელთაც საეკლესიო საქმეებში რაიმე დამსახურება მიუძღვის. პატერ პრანაიტის კი ამ მხრივ არაფერი საგულისხმო არ ჩაუდენია. პრანაიტისმა დეპუტატ ზამისლოვსკის სთხოვა მისთვის ეშუამდგომლა სამინისტროში. ზამისლოვსკი და შმაკოვი გულმოდგინედ შუამდგომლობენ, რათა პრანაიტის საეპისკოპოსო კათედრა მისცენ.

**მოსკოვის ქალაქის მოურავი.**

გამოირკვა, რომ მოსკოვს მოურავად არ იქნებიან დანიშნულნი არც შტრიუმერი და არც კატუარი. არც ახალი არჩევნები მოხდება მოსკოვში. მოურავის თანამდებობის ამსრულებლად მოსკოვში იქნება ხმოსანი ბრიანსკი.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

15—16 დეკემბერი.

### უცხოეთი.

**ლონდონი.** ინდოეთის პროვინციის სიდის ქალაქ ყარაჩში ინდოელთა წლიური საეროვნო კონგრესი მოხდა. კონგრესმა მადლობა გამოუცხადა ჰარდინგს სამხრეთ აფრიკის საკითხში ნაყოფიერ მოქმედებისათვის. კონგრესის თავმჯდომარემ მარდასიელ მაჰმადიანმა ინდოელებს მადლობა განუცხადა იმ თანაგრძნობისათვის, რაიც ინდოელებმა ბალკანეთის ომის დროს მაჰმადიანთა მიმართ გამოიჩინეს. სამხრეთ-აფრიკის საკითხზე სთქვა: ინდოელებზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ინგლისის უძლურება სამხრეთ-აფრიკის ახალშენის საკითხში. კონფერენციის მუშაობა უნაყოფო იქნებაო, სთქვა თავმჯდომარემ. საჭიროა აიკრძალოს ნატალიდან ქვანახშირის შემოტანა. დასასრულ თავმჯდომარემ მოუწოდა ინდოელებსა და მაჰმადიანებს შეერთებულიყვნენ ერთსულოვან მოქმედებისთვის.

**ბელგრადი** სკუპშჩინა. ხარჯთაღრიცხვის კანონ პროექტის განხილვის დროს ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ კანონპროექტი კონსტიტუციის წინააღმდეგია და არღვევს სახელმწიფო კონტროლის დებულებებსო. ოპოზიციამ დარბაზი მიატოვა. კრება ორშაბათისთვის გადაიდო.

**რომი.** ფლორენციის საბრალმდებლო კამერამ „ჯოკონდას“ მომპარავთა დამცველებს დამნაშავეთა განთავისუფლებაზე უარი უთხრა. საქმე ახლო ხანში გაირჩევა.

**პარიზი.** წინასწარი თათბირი მოხდა 500 სენატორისა, დეპუტატებისა და რესპუბლიკანელთა იმის გამოსარკვევად, საჭიროა თუ არა მემარცხენე რესპუბლიკანელებმა დაარსონ, პოლიტიკურ პარტიებზე სრულიად დამოუკიდებლივ, პარლამენტისა და პარლამენტს გარეშე ფედერაცია, რომელსაც მიზნად ექნება ეროვნული თავდაცვა, საერო სკოლა, გადასახადთა სამართლიანი სისტემა და სოციალურ პროგრესის სამსახური მოქალაქეებთან ერთად. ბრიანმა ვრცელი სიტყვით განმარტა ფედერაციის მთავარი დებულებანი. ბრიანის სიტყვამ და ფედერაციის პროექტმა დამსწრეებზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა.

**ობერსტენფელდი** (მარბახის ოლქი). ვინმე კიმერლენმა ლაპარაკის დროს დასჭრა ცოლის სახლში რვა კაცი და თვითონაც თავი მოიკლა.

**ნიუ-იორკი.** ზღვის ღელვამ საგრძნობად დააზიანა ნიუჯერსის შტატის სანაპირო ქალაქები.

**ვენა.** ჰუნგრეთის დელეგაცია. მოხდა უკანასკნელი სხდომა. გამოირკვა ორივე დელეგაციის ერთსულოვნება სხვა და სხვა საკითხში. მეფისა და მინისტრების სახელით ბერტჰოლდმა დელეგაციას მადლობა განუცხადა.

**ბერლინი.** პრუსიის 1914 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის შესავალ-გასავალი 4,846,239,109 მარკას უდრის. არაჩვეულებრივი ხარჯი — 303 357,491 მარკ. ბალანსი, როგორც 1913 წლისა, უსესხოა. სახელმწიფო ვალს შეადგენს 10,355,537,144 ვალი შარშანდელზე 453,768,040 მარკით მეტია. აქედან სარკინიგზო საქმეზე 7,810,792,695 მარკა მოდის.

**სტრასბურგი.** ცაბერნიდან იტყობინებიან: სასახლის ყარაულს, რომელიც შიგნითა ეზოში იდგა, უცნობმა ბოროტგამზრახველმა რევოლვერი ორჯერ ესროლა. მსროლელი მიიმალა, საქმე სასამართლოს გადასცეს. მსროლელის აღმომჩენს ჯილდოდ 600 მარკა მიეცემა.

**ზაგრები.** სეიმის სხდომები დაიწყო.

**პარიზი.** დელკასე პეტერბურგში წავიდა.

**სოფია.** სახალხო კრება 19 დეკემბრისთვის არის მოწვეული.

საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ გენადიევმა მინისტრ-პრეზიდენტს თანამდებობიდან გადადგომის თხოვნა წარუდგინა. ფერდინანდ მეფეს. გენადიევი გადადგომას დაჟინებით ითხოვს. საკითხი დღე-დღეზე გადასწყდება.

**ყარაჩი.** ინდოელთა საეროვნო კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც პროტესტს აცხადებს სამხრეთ-აფრიკაში ინდოელთა უნუგეშო მდგომარეობის წინააღმდეგ.

**ცაბერნი.** გამოძიებამ გამოარკვია, რომ ყარაულის მოკვლის განზრახვა სიმართლეს მოკლებულია. საფიქრებელია, რომ აქ ბავშვური სქციელი იყო ყარაულის მასხარად ასაგდებად.

**ბელგრადი.** ოპოზიციის კრებიდან გასვლის გამო პრესა სამინისტროს კრიზისს აღნიშნავს. მთავრობა უარჰყოფს პრესის ცნობას და იმედი აქვს მომავალ სხდომაზე მთავრობის კანონ-პროექტის უმრავლესობა მხარს დაუჭერსო. მთავრობის პარტიის ზოგიერთი წევრი სამინისტროს გადადგომასა და ახალ არჩევნების დანიშვნას მოითხოვს. მართლაც კაბინეტის გადადგომა მოსალოდნელია. სამხედრო მინისტრი უკვე გადადგა თანამდებობიდან; რადგანაც პარლამენტმა შეუმცირა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. „სამოუპრავა“ ოპოზიციის საქციელს გმობს.

**ვენა.** „ვინერ-ცაიტუნგში“ იმპერატორის ბრძანებაა გამოქვეყნებული მინისტრ დლუგოშის გადაყენების თაობაზე.

**ტოკიო.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, უარი განუცხადოს რუსეთს ჩინეთიდან ჯარის გამოყვანის წინადადებაზე.

**პარიზი.** სენატში რიბომ საყვედური უთხრა ფინანსთა მინისტრს იმის გამო, რომ კაიომ სესხის აღება პარტიულის მოსაზრებით უარჰყო.

კაიომ სთქვა: დეფიციტი უდრის 794 მილიონს; 1915 წლის ხარჯთაღრიცხვა 450 მილიონ დეფიციტით იქნებაო, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული მაროკოსთვის დაწეული ხარჯი. არა ჩვეულებრივმა ხარჯმა პროექტში ნავარაუდევ თანხას გადააჭარბა. მოკლე ვადიანი სესხის აღება აუცილებელია. საჭიროა ახალი გადასახადები 600 მილიონამდე. შემოსავალთა გადასახადი მხოლოდ 100 მილიონს მოგვცემს. ამის გამო საჭიროა შეძლებულმა კლასმა მსხვერპლი გასწიოს.

**ათინა.** სალონიკში მიტინგი გაიმართა. მიტინგს დაესწრნენ ფრაკიიდან გამოქცეული მცხოვრებნი. მიტინგმა პროტესტი განაცხადა ბულგარების მიერ ფრაკიაში ბერძნების შევიწროების წინააღმდეგ. დაადგინეს მიჰმართონ საბერძნეთისა და დიდ სახელმწიფოთა მთავრობას შევიწროებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

ათინის სააგენტო იტყობინება: ბერძენთა მდგომარეობა ფრაკიაში თან და თან უარესდება.

**ზაგრები.** ხორვატიის სეიმის პირველი სხდომა ფრიად მღელვარე იყო. მეფის რესკრიპტის წაკითხვისა და შემმოწმებელ კომისიების არჩევის შემდეგ, ილაპარაკა ოპოზიციის წევრმა მილიუსნიჩმა, უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ. შემდეგი სხდომა ორშაბათისთვის დაინიშნა; ოპოზიციის ხმაურობის დროს, თავმჯდომარის ადგილი ტუშკანმა დაიჭირა და შემდეგ სხდომა საღამოს ექვს საათისთვის გადაიდო „მილიუსნიჩმა ხელმეორედ დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი, თუმცა კვესტორის წინადადებით თავმჯდომარედ ტუშკანი უნდა ყოფილიყო. საშინელ ხმაურობისა და მუშტი-კრივის დროს შემმოწმებელ კომისიათა მომხსენებლებმა კომისიის მოხსენება წაიკითხეს. მილიუსნიჩი ძალითაც ვერ განდევნეს თავმჯდომარის ადგილიდან, მილიუსნიჩი ტუშკანს დასცინოდა. ოპოზიციის წევრები წარმოუდგენლად ხმაურობდნენ: უკრავდნენ ავტომობილების საყვირებს, სპილენძის თეფშებს არახუნებდნენ და სხვა. ნაშუადღევის 2 საათზე ხმაურობა ძლივს დასცხრა. უმრავლესობამ მაინც მოასწრო თავმჯდომარის არჩევა, აირჩიეს სერბია-ხორვატიის კოალიციის წევრი მედაკოვიჩი.

**რომი.** „ჯიოკონდა“ მილანში გაგზავნეს, სადაც რამდენსამე დღეს იქნება გამოფენილი.

### რ უ ს ე თ ი

**იალტა.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი მოვიდა.

**პეტერბურგი.** 22 აგვისტოს გამოვიდა სენატის განმარტება იმის თაობაზე, რომ ებრაელ დანტისტებს, ფერშლებს და აფთიაქის გამგეთა თანაშემწეებს უფლება ეძლევათ იცხოვრონ საბინადრო ფარგლის გარეშე იმ პირობით, თუ ისინი არ მიჰყოფენ ხელს ვაჭრობას და მხოლოდ თავის სპეციალურ საქმეს გააკეთებენო. ამის გამო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა, განმარტონ საკითხი—შეუძლიანთ თუ არა დოკუმენტების განახლება იმ პირთ, რომელნიც თანახმად წინანდელ პრაქტიკისა სახლდებოდნენ საბინადრო ფარგლის გარეშე და მისდევენ არა მარტო სპეციალობას, არამედ ვაჭრობასაც.

**პეტერბურგი.** 14 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტის სხდომა მოხდა. სხდომას დაესწრნენ იუსტიციის, სახალხო განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელნი. დეპარტამენტმა გადასწყვიტა საკითხი —ვის უნდა დაექვემდებაროს სამღვთო სჯულის სწავლების საქმე კათოლიკეთა სასწავლებელში:—რომის კათოლიკეთა უმაღლეს სამღვდელოებას თუ სახალხო განათლების სამინისტროს? დეპარტამენტმა ხმის უმრავლესობით საკითხი უკანასკნელის სასარგებლოდ გადასწყვიტა.

**იაროსლავი.** პროსოლოვის საქმის გარჩევა დასრულდა. ნაფიც მსაჯულებმა განაცხადა, პროსოლოვმა თავის ცოლი გონება დაბნელების დროს მოჰკლაო. პროსოლოვი გაანთავისუფლეს.

**ხარკოვი.** გუბერნიის საერობო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ხარკოვ-პენზა-ინზას რკინის გზა.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** პარასკევს, 20 დეკემბერს 1913 წ. **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება** გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს. წარმოდგენილი იქნება სუნდუკიანცის ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი. „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია". მონაწილეობას მიიღებენ ვასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვანი. დასასრულ მოჰხდება პოეტების შეჯიბრება. შესასვლელი ფასები დაკლებულია.

**ქართული თეატრი.** კვირას წარმოდგენილი პაროდის ტრაგედია, „დამარცხებული რომი", რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო, საინტერესო პიესა გამოდგა.

ტრაგედიის შინაარსია დიადი გრძნობანი, მაღალი გმირობა, რკინის ხასიათები; იგი აღებულია რომაელთა ცხოვრებიდან და ეხება იმ დროს, როცა ჰანიბალი მიუახლოვდა მსოფლიოს ქალაქს და ისიც იყო, კაცობრიობის ისტორია სხვა მხრით უნდა შეტრიალებულიყო, და როცა რომაელებმა გამოიჩინეს უდიდესი სულის სიძლიერე და ამ უკიდურეს განსაცდელის დროს დაამტკიცეს უფრო, ვიდრე გამარჯვებისა და ბედნიერების დროს, რომ გენიოსობით და ისტორიულის შემოქმედებით იყვნენ მოსილნი.

რომის კარებს მოადგა ჰანიბალი და მთელი რომი, თავზარდაცემული და ამავე დროს აღფრთოვანებული, სისხლის უკანასკნელის წვეთის განწირვად შეიარაღებული, გამწარებულის გაბედულობით და სიმხნით ხელში აიღებს იარაღს სამდევო ბრძოლისათვის. იგი დაკოდილს ლომს ჰგავს, რომელსაც აღარა დარჩენია რა გმირულის თავისგანწირვის და კვეთების გარეშე.

ამ მდგომარეობაში მყოფს რომს ორაკული აუწყებს, რომ წაბილწულია ღვთიური ცეცხლი ვესტას ტაძარში და სანამ არ დაისჯება დამნაშავე, მანამდის მტერი ვერ დამარცხდება. შეძრწუნებულნი პრეტორი, ქურუმთ მთავარი, სენატორები მყის შეუდგებიან დამნაშავის გამოძებნას. იგია ქურუმი ქალი, ვესტის მსახური, ოპიმია, რომელმაც სიყვარულისათვის უღალატა ღმერთს და შეურაცხჰყო ტაძარი. ამისთვის ცოცხლად უნდა დაიმსახუროს და სასტიკის სასჯელით გამოისყიდოს დანაშაული, აღადგინოს სიწმინდე.

შეუბრალებელია ქურუმთ მთავარი, შეუბრალებელია თვით ბიძა ოპიმიასი, ფაბიოსი, შეუბრალებელნი არიან მსაჯულნი, რომელთაც ოდნავად ვერ შეარყევს ოპიმიას ბრმა დედის პოსტუმიას საშინელი მოთქმა და ცხარე (ცრემლიანი ღაღადი: ვინც შესცოდა ერს და თავის პირად წადილის დასაკმაყოფილებლად ჩირქი მოსცხო მის სახელს, მას რომი სიბრალულს და ლმობიერებას არ შესთავაზებს. ადამიანური გრძნობა კვდება მამულიშვილობისა და სახელმწიფოებრივობის წინაშე. არ არის ადამიანი, არის მხოლოდ რომაელი,—აი ედიკანონი, სული და არსება რომისა, მისი სიძლიერის, ძლევამოსილობის და დიდების. თვითონ ოპიმიასაც ვერ წარმოუდგენია სხვანაირად თავისი ბედი: იგი დიდი დამნაშავეა რომის წინაშე და უნდა დაისაჯოს ღირსეულად...

ტრაგედია ჯეროვანის ყურადღებით იყო დადგმული. ახალი დეკორაციები და ტანისამოსები კარგად იყო შეწყობილი. უმთავრეს მოთამაშეებს—კორნელიოს ლუციოსს (კ. მესხს) და ფაბიოსს (ვ. გუნიას) მშვენივრად შეეთვისებათ ის რკინის შეუდრკელობა და სიმკაცრე სახელმწიფოებრივობისა, რომელიც ახასიათებს რომის მთელს ისტორიას. ჩვეულებრივ ძლიერი იყო ნ. ჩხეიძე უბედურის და წამებულის დედის პოსტუმის როლში. საუცხოვოდ წარმოსთქვა უმანკოებით ალსავსე მონოლოგი იუნიამ—თოიძემ. არა უშავდა ქ. მდივანს (ოპიმიას), რომელმაც კარგად ჩაატარა ზოგიერთი ადგილები. შესაფერი მორთულობა და გრიმი ჰქონდათ გაკეთებული სენატორებს. წარმოდგენის ნაკლს შეადგენდა პირველსა და უკანასკნელ მოქმედებაში ხალხის უცხოველობა და უძრაობა—ეს საზოგადო სენი ყველა მასიურ სცენისა ქართულ თეატრში. ტრაგედიის თარგმანი რიგიანია, ხოლო სრულიად შეუფერებელია სახელების არა ქართული დაბოლავება—ლუცი (ლუციოს მაგიერ), ფაბი (ფაბიოს), გაი (გაიოს) და სხ.

ქ.

# შემოწირულება

**დამშეულთა სასარგებლოდ.**

გიგზავნით 92 მან. შეგროვილს დ. კარიაგინოში (განჯის გუბერნია) დასავლეთ საქართველოში დამშეულთა სასარგებლოდ და გთხოვთ გარდასცეთ დანიშნულებისამებრ. ამასთანავე გთხოვთ გამოაცხადოთ სია შემომწირველთა:

გიორგი ზაალის ძე ყიფიანმა 12 მ. მიხეილ სვიმონის ძე ზედგინიძემ 12 მ., ასკარ ეივაზოვმა 12 მ., მამედ ბეგ კალაბეკოვმა 12 მ, აშრაფ აგაევმა 12 მ., მიტროფან ატმონაკიმ 10 მან., თ. მიხეილ თარხნიშვილმა 8 მან., ალექსი გლუხარიოვმა 8 მ., ბესარიონ გეგიშიძემ 4 მ., მარიამ ბორდესისამ 2 მ. სულ 92 მან.

პატივისცემით **მ. ზედგინიძე.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! პატივის ცემით გთხოვთ, ეს წერილი დაგვიბეჭდოთ. არ გვეგონა, თუ სხვა მრავალი უკუღმართ თვისებასთან ერთად ჩვენს ზოგიერთს სტუდენტებს უზრდელობაც გამოაჩნდებოდა.

ნუ თუ არ იციან ოდესის ქართველმა „**რაინდ**" სტუდენტებმა პრესის დანიშნულება? და თუ იციან, განა გასაკიცხია ის კაცი, ვინც პრესას პირნათლად ემსახურება? ქრისტეფორე რაჭველიშვილიც ასეთი მსახურთაგანია პრესისა. მან პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა და თავისი უღირსი ამხანაგები სარკეში ჩაახედა, რომ დაენახათ თავიანთი მურით გათხუნული პირადობა.

ნაცვლად მადლობისა უგუნურებმა კი ხელის შეხებით შეურაცხჰყვეს ქრისტეფორე. ჩვენ ერთი ჯგუფი ტფილისის ქართული გიმნაზიის მოწაფეებისა ოდესელ ქართველ „რაინდ" სტუდენტებს ზიზღს უცხადებთ მათი უგვანო საქციელისათვის. ქრისტეფორეს კი, ჩვენს მისაბაძ ამხანაგს, გულითადს თანაგრძნობას.

ამხანაგების მინდობილობით **ჯ. ი.**

მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი წერილი: ს.-პეტერბურგის ქალთა პროგრესიულ პარტიის კლუბმა დაავალა ა. ი. შინგარიოვს შეიტანოს ამ კლუბის სახელით სახელმ. სათათბიროში კანონ-პროექტი პროსტიტუციისათვის საპოლიციოთ ექიმობის თვალყურის დევნის მოსპობისა და საროსკიპოების დახურვის შესახებ. კლუბის საბჭო მიმართავს ამ კანონ-პროექტის ყველა თანამგრძნობთ და სთხოვს გამოგზავნონ თავისი ხელწერილი „ქალთა მოამბის" რედაქციაში: პეტერბურგი, შპალერნაია ქ., 42 ქალთა კლუბის საბჭოს.

კლუბის საბჭოს თავმჯდომარე: ექიმი ქალი **მ. პოკროვსკაია.**

უმორჩილესად ვთხოვთ სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი**,
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე**
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა**
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, სამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**ფეხსაცმელები ძმათა დ. ჯახარიშვილის**
მაღაზია სახელოსნოში
მუხრანის ქ. № 2.
მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკო. 855

**ექიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შეუხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუსელიანი: 10 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი თ. გ. ტერ-ღაზაროვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1004

**Верійская парная баня**
გისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ
**ზ. ი. აზრამაშვილის**
**აბანოში**
ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში
ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილის, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.
საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. ცივი და ცხელი დუში სპეციალ-აზნაურთ საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. ვანები აბონემენტები (გრაფისით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**საკომერციო ცოდნათა კურსები**
**ტ. მ. ფილოიანისა**
(ტფილისი. ცისეილის პროსპექტი, სახლი N 24—4. ტელეფ. 976).
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის კურსის დამთავ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში და Pigi-ის (პარიზში), Muster Comtou-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება.
**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო ა საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო 1) უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
ლექტორობად კურსებზე არიან უმაღლეს სატექნიკო სწავლა-მიღებულნი. გავხსენით სპეციალური ქალთა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით, და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და შეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის ეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო. ამათგან 53 ქალი რადგანაც სურვება ი ბევრია, კურსებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ნამეტნავად ხელსაყრელია ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის. 1628

**მუდამ დღე მოგვდის**
თევზის მრეწველნი
**ძმ. ძეველოვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
**ახალ-ახალი**
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი
აგრეთვე იყიდება მაილოვის
**ხიზილალა.**
კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჟიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და
**კონსერვები.**
1565

სათამაშოები
**სათამაშოების მაღაზია სოლოლაკში**
**ა. ი. ზეველაშვილისა,**
ტფილ., სოლოლაკის ქ., № 7, ოტტენის აფთიაქ. პირდაპირ.
პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ
მომავალ დღესასწაულებისათვის
მივიღეთ საჩუქრებისათვის დიდ-ძალი რჩეული სათამაშოები, გასართობები, დედოფლები და ბეჭდები
**იყიდება იაფად.**
გვაქვს აუარებელი რჩეული მორთულობა ⅆ კოლექციები
**საშობაო ხისა** 1 მ. 50 კ.-დან დაწყებული. შობის ხისთვის ძმ. კრესტოვნიკოვების სანთელი კოლოფი 25 კ. 1634
სათამაშოები.

**გამოვიდა და იყიდება**
**კედლის კალენდარი**
შედგენილი და გამოცემული კ. თავართქილაძის მიერ.
კალენდარი შესწორებული, შევსებული და დასურათებულია, შიგ მოთავსებულია ცნობები ქართულის და მსოფლიო ისტორიიდან და ქართული მწერლობიდან, ჩვენი მწერლების მოკლე ბიოგრაფიები, ლექსები, აფორიზმები, ანდაზები და სხ. კარდონზე დახატულია 10 ფერადით ლამაზი ქართული ჩუქურთმის ჩარჩო, ჩარჩოში ზოგზე აკაკი წერეთელი, ზოგზე არჩილ ჯორჯაძე, ზოგზე ეგნატე ნინოშვილი; ამას გარდა ყველა კარდონზე დახატულია მეჯაჰული აზრანი. იყიდება ყველგან, ფასი ნარდად მყიდველთათვის 20—22 კაპ.
მისამართი: Тифлисъ: 1) Театр. пер., типографія „Надежда", К. Таварткиладзе, 2) Цхнетская, 29, Гр. Бурчуладзе. 1640

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი
**საბუჰჰალტრო კურსები**
(საღამოსი),
**რ. ზ. რომანოვისა,**
(1908 წ. დაარსებული).
ტფილისი, ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა № 47, ტრამვაის სადგურთან, მე-3 სამოსამართლო განყოფილების მახლობლად.
**კურსი 5 თვიანია, ყოველ-დღიური მეცადინეობით.**
**სწავლა იწყება 1914 წ. 2 იანვრიდან.**
ამზადებენ **ორივე სქესის** პირთ სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებაში თანამდებობის მისაღებად და აძლევენ **სპეციალურ საკომერციო ცოდნას** საბუჰჰალტრო და სხვა საკომერციო მეცნიერებიდან.
პრაქტიკული მუშაობა ბუჰჰალტერიისა და კორესპონდენც. სწარმოებს კურსებთან მოწყობილ სპეციალურ კანტორაში, **სატახტო ქალაქების კურსების მიხედვით, თვალსაჩინო წესით,** მასალა აღებულია ცხოვრების სინამდვილიდან **(სავაჭრ. დოკუმენტ. და სხვა ფორმ.)**, და სავალდებულოა აწარმ. ანგარიშები ერთ-თვიან რთულ წარმოებათა, როგორც საზოგადო სავაჭრო ბანკის ანგარიშებისა სავალდებულო საგნები: 1. ა) ბუჰჰალტერია, უბრალო, იტალიური (ორმაგი), გერმ., ამერ იკ., ფრანგ., ინგლის. კამერალ. და რუს. (სამმაგი) (პრაქტ. მუშაობით ყოველ სისტემაში). ბ) **ანგარიში:** საზოგადო სავაჭრ. საქარხ. ბანკის შემნ. ამხ. და საკრ. ამხ. ნავთ-მრეწვ. და დაზღვევისა. ანგარიშის წარმოება. კარტ. სისტ. 2) კომერც. არითმ. 3) **სავაჭრო უფლება.** 4) თამასუქ. უფ. 5) კომ. კორეს. (თეორია და პრაქტ.), 6) არითმ. საანგ. ჩოთქზე, (კომერც. (ა მეთემ. გამოანგარიშ. ახალ და უადვ. საშუალებით), 7) კალიგრაფია (უხეირო ხელის გასწორება), არა სავალ. საგ. 8) **პოლიტ.-ეკონომ.**, 9) **სტენოგრაფია,** 10) საწერ მანქანაზე წერვა, 11) რუსული ენა 12) არითმეტიკა. მასწავლებლებად სპეციალისტები არიან მოწვეულნი უმაღლესი (უნივერსიტეტის) სწავლით. მსმენელ ქალ-ვაჟთა მიღება სწარმოებს **ყოველ დღე** კურსების კანცელ. დილის 10—3 ს.-დე და საღამოს 5—8 ს.-დე. კურსების წესდება და პროგრამა **უფასოდ** იგზავნება. 1615

მარმარილო-მოზაიკისა, ხელოვნება-ქანდაკების ⅆ
**ძეგლების**
დამმზადებელი სახელოსნო
**ნ. რიცცისა,**
ტფილისი. ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 158, ტელეფ. 16—38.
ვიკისრებთ ზემო-აღნიშნულ სამუშაოს და ვამზადებთ **მარმარილოსა და ბრინჯაოს ფიგურებს,** ბიუსტებს, ბარელიეფებს, რასაც უსაწინდროდ ვასრულებთ. **გვაქვს დიდ-ძალი რჩეული** გამზადებული ძეგლები: მარმარილოსი, ლამბრადორისა და სხვა ქვისა. 1613

Съ понедѣльника, 16 декабря, и далѣе **по понедѣльникамъ** въ Тифлисѣ будетъ издаваться по полной программѣ ежедневныхъ большихъ газетъ
**ГАЗЕТА**
**„ОБЗОРЪ ЗАКАВКАЗЬЯ"**
Редкція и контора: Дворцовая ул., д. Сараджева тел. 12—48.
Редакторъ Г. И. Гзеліевъ. Издатель Э. Д. Горделадзе

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
**საბუჰგალტრო კურსები**
**ნ. ვ. აბრამიანისა**
(დაარსებულია 1895 წ.)
„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.
ორივე სქესისათვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**
მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომიას; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭვდას. მასწავლებლები—თვითონ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.
**ექსტერნები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.
კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს ⅆ კანტორის სხვა ⅆ სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.
პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1634

**კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის**
**საწყობში შემდეგი გამოცემანი:**

| | | |
|---|---|---|
| ყუბანეიშ. პირველდაწყ. დარიგ. სალვთ. სჯ. სწავლებაზე, ფ. ყდით | | 30 კ. |
| ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია | „ „ | 40 „ |
| ხუნდაძე. ქართული გრამატიკა. | „ „ | 60 „ |
| მისივე. მოკლე ქართული გრამატიკა | „ „ | 20 „ |
| ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა. | „ „ | 20 „ |
| რობაქიძე. სამშობლოს აღწერა. | „ „ | 50 „ |
| „გუთანი". ქართული სახელმძღვანელო | „ „ | 85 „ |
| გერსამია მღვდ. ლოცვანი, | „ „ | 10 „ |
| დათეშიძე. წერის დედანი, | „ „ | 25 „ |
| კიტა აბაშიძე. ეტიუდები მე XIX საუკ. ქართ. ლიტ. შესახებ, | „ „ | 70 „ |

აქვე იყიდება **ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები.** პროვინციის წიგნის მაღაზიებსა და სასწავლებლებს ეძლევათ დიდი შეღავათი. გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია **დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები **ძლიერ იაფად.** ამ ჟამად აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო „**კარტოჩკები" და კალენდრები 1913 წლისათვის.**
ადრესი: Кутаисъ. Книжный магазинъ Т—ва К. Оцхели. 1621

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.